

შეთანხმება #2
ხელშეკრულება № 63
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი NAT20001244)

ქ. თბილისი

წინამდებარე დამატებით შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) ფორმდება 2020 წლის 03 ნოემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, სსიპ „დევენილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ჯუმბერ ბოიკოს სახით და

მეორე მხრივ, შპს „ზუდა“-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის გიორგი მინაშვილის სახით,

შემსყიდველი და მიმწოდებელი ცალ-ცალკე ასევე მოხსენებულნი არიან, როგორც „მხარე“ ან ერთობლივად - როგორც „მხარეები“.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა შორის 2020 წლის 11 სექტემბრის N63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (ელექტრონული ტენდერი NAT20001244) (შემდგომში „ხელშეკრულება“), ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებები:

1.1. 2020 წლის 11 სექტემბრის N63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება: ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში მოხდა დაკორექტირება. ხელშეკრულების მე-2 მუხლში **ხელშეკრულების ღირებულების** თანხა 94443.92 გაიზარდოს 9443.18-ი ლარით და საბოლოო თანხა დაფიქსირდეს **103887.10** (ას სამი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 10 თეთრი) ლარი.

1.2. 2020 წლის 11 სექტემბრის N63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება: ხელშეკრულების მე-3 მუხლი **სამუშაოს შესრულების ვადა** პუნქტი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90(ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

2. ზოგადი დებულებები:

2.1. 2020 წლის 11 სექტემბრის N 63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.

2.2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2020 წლის 11 სექტემბრის N63 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

2.3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

3. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ“დევენილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“
საიდ. კოდი: 249251134
მისამართი: ქ.თბილისი,თამარაშვილის ქ. #15ა
საბანკო რეკვიზიტები; TRESGE22 სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 577092820
საკონტაქტო ელ. ფოსტა: afixsatyeo@gmail.com

**სააგენტოს უფროსი
ჯუმბერ ბოიკო**

მიმწოდებელი:

**შპს „ზუდა“
ს/კ 400191243
მისამართი: თბილისი, გლდანი
მე-2 მ/რ, კ 26,ზ 62**

**სს თიბისი ზანკი
ა.ა. GE84TB7446836080100007**

**დირექტორი
გიორგი მინაშვილი**

